საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. [illegible]
4 „ 15 [illegible]
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. —

№ 583 პარასკევი, სექტემბრის 28 1923 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 200,000

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა საყურადღებოდ

საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ბიუროს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, 24-დან 30 სექტემბრამდე სექციის ბიუროს ბინაზე (მუშათა სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 37) საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე დანიშნულია ბეჭდვითი საქმის. მუშაკთა ტფილ. სექციის

წევრების პერერეგისტრაცია.

ისინი, ვინც პერერეგისტრაციაზე არ გამოცხადდებიან, სექციიდან და კავშირიდან გამორიცხულად ჩაითვლება.

ყველა ცნობებისათვის მიმართეთ სექციის რწმუნებულებს.

კავშირის პასუხისმგებელი მდივანი: **შავერდოვა.**
საორგ. განყ. გამგე: **მეძმარიაშვილი.**
ბეჭდ. საქმის მუშაკთა სექც. პასუხისმგ. მდივანი: **გიულიუმიანი.**

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

(ყოფილ პარტ.-საბჭოთა პრესის ცენტრალური კანტორა რუსთაველის პრ. 26)

აუწყებს ხელის მომწერლებს,

რომ მოსკოვის გაზეთებზე მიღება ხელის მოწერა 1-ლ ოქტომბრ.

ფასები დაფიქსულია ჩერვონეცის მანეთებით.

გაზეთები:		ჟურნალები:	
იზვესტია ვ. ც. ი. კ.	2	ბეზბოჟნიკ	1
პრავდა	2	კრასნაია ნივა	1.50
ბედნოტა	1.50	ოგონიოკ	1.50
ეკონომიჩესკაია ჟიზნ	2	პროჟექტორი	1
ტ რ უ დ	2	ე ხ ო	1
რაბოჩაია მოსკვა	1.75	ვსემირნაია ილიუსტრაცია	1
გ უ დ ო კ	1.75	ღრეზინა	1
კოოპერატივნოე დელო	1.50	კრესიანკა	1
რაბოჩაია გაზეტა კროკოდილით	2.25	რაბოტნიცა	70
კრასნაია გაზეტა	1.50		
ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა	2		
ნაკანუნე	2.25		

ექსპედიციის გამგე **ჩეჩელაშვილი.**

3—1

გაზეთი „ტრიბუნა“

ოქტომბრის 1-დან ეღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის
თვიურად . . . . . . 5.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო
პირთათვის . . . . . 7.000.000 „
ცალკე ნომერი . . . . . 250.000 „

შტრეზემან-ჰილფერდინგის მთავრობა

შტრეზერმან-ჰილფერდინგის მთავრობამ ვერ შესძლო გერმანეთის გამოყვანა კატასტროფიდან კუნოს კაბინეტის დაცემას და ახალ კოალიციას არსებითი ცვლილება არ მოუხდენია გერმანეთის გართულებული ცხოვრების გარდასაქმნელად.

თუ კუნოს მთავრობა საფრანგეთის წინააღმდეგ პასიურ წინააღმდეგობის პოლიტიკას მაინც მიმართავდა, დღეს როგორც დეპეშები გვაუწყებენ ეს პოლიტიკაც მოხსნილია და ამით პუანკარეს გამარჯვება რურში დაგვირგვინებულია.

ამ მოვლენას აქვს დიდი მნიშვნელობა გერმანეთის ცხოვრებისთვის.

საფრანგეთის შეთანხმება შტრეზერმან-ჰილფერდინგის მთავრობისათვის აუცილებელი იყო, რადგან რევოლიუციონური მოძრაობის ზრდის მოგერება შიგნით და წინააღმდეგობის გაწევა რურშიაც, ერთ და იმავე დროს მთავრობის ძალებს დაქსაქსავდა.

ეხლა კი კოალიციონურ მთავრობას შეუძლია მთელი ძალა მიმართოს „საშინაო საფრთხისაკენ“ და შეეცადოს იმ ძლიერი ნაკადის შეჩერებას, რომელიც მუშათა მოძრაობის სახით მიმდინარეობს.

ეს პოლიტიკური ანგარიში ერთი მხრით უეჭველად გონივრულია კოალიციონური მთავრობისათვის, რომელიც ორივე ფეხებით სდგას კაპიტალიზმის დაცვის ნიადაგზედ და ენერგიულად ეწინააღმდეგება მუშათა გამოსვლებს.

მიუხედავად ამისა ეს ნაბიჯი, სრული კაპიტულიაცია საფრანგეთის წინაშე ვერ უშველის შტრეზერმან ჰილფერდინგის მთავრობას. დღეს ამ მთავრობის წინააღმდეგ ორი მხრით არის გაშლილი საფრთხე. მას უპირისპირდება, როგორც მუშათა მოძრაობა, მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგით, ისე ფაშისტური, მილიტარული ელემენტები, რომელიც სარევანშო სურვილებით არის შეპყრობილი საფრანგეთის წინააღმდეგ და არ კმაყოფილდება არც ისეთი „ზომიერი“ სოციალისტების თანამშრომლობით, როგორიც არის შტრეზემან-ჰილფერდინგი.

დეპეშები გადმოგვცემს, რომ მონარქისტული მოძრაობა ვითარდება, არის ხმებიც, ვითომც ლიუდენდორფი მიდიოდეს ბერლინზედ 15,000 კაცისაგან შესდგარი რაზმით. მას სურს „გერმანიის კრიზისი გადაჭრას ბავარიის ტყვიის-მფრქვეველებით.“

ამ მრიგად ორი მხრით მოელის საფრთხე კოალიციონურ მთავრობას. ვფიქრობთ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ თავრობის დღეები დათვლილია. მისი ადგილი უნდა დაიჭიროს ან უკიდურესმა მილიტარისტულმა დიქტატურამ, ან მშრომელი ხალხის წარმომადგენლებმა.

ამას უნდა დაუმატოს ის გარემოებაც, რომ პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა არ უდრის საფრანგეთთან საბოლაო შეთანხმებას. პუანკარე პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის კომპენსაციათ გერმანეთს აძლევს უფლებას მოლაპარაკების დაწყებისას საკონტრიბუციო საკითხის შესახებ და მეტს არაფერს. ეს კი მეტად მცირე ნამცეცია.

ცხადია, ვერც შტრეზერმან-ჰილფერდინგის მთავრობა და ვერც ლიუდენდორფის ტყვიისმფრქვეველები გერმანეთს ვერ იხსნის.

პირველმა უკვე ჩაგვაბარა თავისი გამოცდები ამ საქმეში და მიიღო არა საკმაო ნიშნები, მეორე კი შესაძლებელი გამარჯვებისას გამართავდა არა მარტო ევროპის ომს, არამედ შეიძლება ახალ მსოფლიო ომის მიზეზადაც იქცეოდა.

გერმანეთის მუშათა კლასისათვის მიუღებელია პირველიც და მეორეც. იგი უკვე იბრძვის ამ ძალების წინააღმდეგ. გერმანეთის კომპარტიას და მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელთ მართებს დიდი ტაქტი და მიზან შეწონილი მოქმედება, რადგან გერმანეთის ცხოვრებაში იწყება გადამწყვეტი ბრძოლის პერიოდი. მთელი ყურადღება საერთაშორისო მუშათა კლასისა და კერძოდ საბჭოთა რესპუბლიკებისა დღეს გერმანეთის მუშათა მოძრაობისაკენ არის მიქცეული. ჩვენ უნდა შევძლოთ რითაც შეგვიძლია დავეხმაროთ გერმანეთის მშრომელ ხალხს, შეუმსუბუქოთ მდგომარეობა და გაუადვილოთ იმ დიდი საფრთხის გადატანა, რომელიც მას ელის რეაქციისაგან.

გერმანეთის ცხოვრებაში უკვე მწვავე კონფლიქტების პერიოდია დაწყებული. ამ კონფლიქტებმა თავისი ლოღიკური გამოსავალი უნდა ჰპოვოს.

დღიური

— ინგლისი იმუშავებს ახალ საკონტრიბუციო გეგმას.

— გერმანიის გაზეთებში დაბეჭდილია მთავრობის გადაწყვეტილება წინააღმდეგობის შეწყვეტაზედ

— პარიზში ხმებია, ვითომც ლიუდენდორფი 15.000 კაცით მიდის ბერლინისაკენ.

— ბოლგარეთის ოფიციალური ცნობებით, აჯანყებულები დამარცხდნენ, სამხრეთ-სლავიიდან მიღებული ცნობებით კი აჯანყება წარმატებით ვითარდება.

— ოფიციალურად წინააღმდეგობის შეწყვეტას მთავრობა გამოაცხადებს ხალხისადმი მოწოდებაში რეიხსტაგის სხდომის შემდეგ

— ოსმალეთი ცხადდება რესპუბლიკად.

— ბოლგარეთის ახალი კაბინეთის შედგენა მიენდო ალექსანდროვს.

— საფრანგეთი გახარებულია წინააღმდეგობის მოსპობით.

— დანიაში აღმოაჩინეს დიდი ბოროტმოქმედება მაღალ წრეებში.

— კარელიაში მოკლეს რუსეთის წარმომადგენელი ამხ. ლავროვი.

— გერმანიაში სეპარატისტული მოძრაობა იზრდება

მშრომელი გლეხობა და რევოლიუცია

II რუსეთის მაგალითი

ოქტომბრის რევოლიუციის ქარიშხალმა სავსებით ნათელყო მშრომელი გლეხკაცობის ისტორიული დანიშნულება სოციალ გარდაქმნის ვითარებაში. მიწის მუშათა მშრომელი ღარიბი არმია იმ თავითვე ჩამწკრივდა სოციალისტურ წესწყობილებისათვის მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში. არ ყოფილა შემთხვევა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ქალაქისა და სოფლის მუშების, მშრომელ გლეხობის და საბჭოთა ხელისუფლების შუა დაპირისპირების, უთანხმოების, შეჯახების. სოციალისტურ რევოლიუციის სივრცეზე მშრომელი გლეხკაცობა ხელი-ხელ ჩაკიდებული, მუშათა მთლიან ფრონტში გაერთიანებული, ქალაქის პროლეტარულ მასსასთან ერთად ორგანიზაციულ სისტემატიურ შეტევას აწარმოებდა კაპიტალის წინააღმდეგ. ღარიბი გლეხობა მტკიცედ იცავდა და იცავს შრომის ინტერესებს.

საბჭოთა რუსეთის თანამედროვე მოძრაობის ღერძი სოფლის გალატაკებულ მასის ზურგზე ტრიალებს. სოციალისტური რევოლიუციის განვითარება-გაღრმავების, მთავარ მნიშვნელობის მქონე ძალთაგანს უეჭველად მშრომელ გლეხობის სოლიდარული ნებისყოფა წარმოადგენს. რევოლიუციის დემიურგი, მოძრაობის აქილესი წითელი არმიაა, სამხედრო შეიარაღებული ძალა. რა სახეშია მოცემული იგი ძალა?—მშრომელ გლეხკაცობის, ღარიბ მიწის მუშების და ქალაქის პროლეტარიატის. მთელი ჯარების შემადგენლობის დაახლოებით 70 პროც. სოფლის გაძვალტყავებული დემოკრატია შეადგენს. დანარჩენი 30 პროც. მოდის მძიმე ინდუსტრიაში ჩაბმულ პროლეტარიატზე. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ასეთი პროცენტული მიმართება ქალაქისა და სოფლის მუშათა შუა ბუნებრივი სურათის გამომხატველია. საბჭოთა რუსეთის სახალხო მეურნეობის მთავარი დარგი სოფლის წარმოებით ამოიწურება. რუსეთი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა უმთავრესად. მცხოვრებთა აბსოლიუტური უმრავლესობა მშრომელი ხალხია, მიწის მუშები, გლეხები. ცხადია, საზოგადოებრივ ცხოვრების ძირითადი გარდაქმნის საქმე უშუალოდ ეხება ღარიბ გლეხობას, როგორც სახელმწიფოს ახალ ყაიდაზე გარდაქმნის სერიოზულ ძალას.

ხშირად ამბობენ: ოქტომბრის ისტორიული ეპოქა პეტროგრადის პროლეტარიატმა შექმნაო. ეს აზრი ერთობ პოპულიარულია და საზოგადოდ გავრცელებული. საკითხის სიღრმეში ჩაყურყუმალავება მოგვცემს ვითარების განსხვავებულ და რეალ შემეცნებას. მართალია, ოქტომბრის დღეები პეტროგრადის მუშათა კლასსმა მოგვცა, მაგრამ არა მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარულ ფენებმა, არამედ მშრომელ გლეხკაცობის საიმედო რაზმებმაც. კოალიციონურ მთავრობის განკარგულებაში იმყოფებოდა საუცხოვოდ შეიარაღებული მხედრობა. რუს ყაზახობა წარმოადგენდა „კოალიციის“ დასაყრდენს. ამ ძალით იცავდა კერენსკი რევოლიუციის ბურჟუაზიულ უფლებებს. კონტრ-რევოლიუციონურ ფრონტს ჯარის რევოლიუციონური, გაბოლშევიკებული ნაწილები დაუპირისპირდა. სისხლის ნაკადული ამოძრავდა. რევოლიუციონურმა ჯარმა დაამსხვრია ბურჟუაზიულ კოალიციის ციხე-სიმაგრეები. სამფეროვან დროშის მატარებელ პეტროგრადმა ააფრიალა ერთფეროვანი წითელი დროშა. დაამკვიდრა საბჭოთა ბრძანებლობა. ანალოგიური მაგალითები მოხდა სხვა დიდ ქალაქებში. მოსკოვშიაც განმეორდა პეტროგრადის სენსაციები“. მრომელთა ხელისუფლება მთელი რუსეთის მასშტაბით დამყარდა. დიახ, ჯარი, შეიარაღებული ძალები ქმნიდა ახალ ეპოქის ისტორიას. ეს ჯარი სწორედ არა იყო რა სხვა, გარდა ფარაჯაში გამოწყობილ გლეხკაცობის და ქარხნის მუშების. რიცხვით გლეხკაცობა შეადგენდა წითელი რაზმების დიდს უმრავლესობას. მაშასადამე, სახელოვანი ოქტომბერი, ახალი ერა ჩვენ მოგვცა ქალაქისა და სოფლის მუშების სოლიდარულმა ბრძოლამ, შეერთებულმა ძალამ, ჰარმონიულმა თავგანწირულმა საქმიანობამ. ოქტომბრის გამარჯვება შედეგია პროლეტარიატის და მშრომელ გლეხობას შემჭიდროება—გაერთიანებების შრომის ინტერესების ნიადაგზე

სამოქალაქო ბრძოლის ისტორიის გათვალისწინება იძლევა ახალ ფაქტებს მშრომელ გლეხობის ბუნების გარკვევისათვის. ღარიბი გლეხ-კაცობა არ შემკრთალა რევოლიუციის გაღრმავებით. იგი ფეხ-და-ფეხ [illegible] პროლეტარულ მოძრაობის ზვირთებს. მთელი უზარმაზარი რუსეთი ორ ბანაკად გაიპო ოქტომბრის ქარბუქმა. ერთის მხრით დარაზმდა ყველა ანტირევოლიუციონური და ანტისოციალისტური საზოგადოებრივი ჯგუფები: ფეოდალური არისტოკრატია, მსხვილი მემამულეები, ვაჭრები, მსხვილი და წვრილი კაპიტალისტები, მეფის და კერენსკი-გუჩკოვის მოხელეები, შავი სამღვდელოება, ძველი აფიცრობა, თეთრი ინტელიგენცია და მრავალი სხვა ანალოგიური ელემენტები. მეორე მოპირდაპირე ბანაკის მებრძოლ რიგებს ავსებდა მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის დაქირავებული მუშები და სოფლის ღარიბ-ღატაკი გლეხობა. გლეხობის შეძლებული ნაწილი დენიკინსა და ლენინს შუა ქანაობდა, უმთავრესად კი კონტრევოლიუციის მწკრივებს ამჭიდროებდა თვით რეაქციის ლიკვიდაციამდე.

რუსეთის მატიანეში 1918—19 წ. წ. საშინელ სამოქალაქო ბრძოლების წლებია. კონტრევოლიუციის გამოლაშქრებამ მიიღო აშკარა ორგანიზაციული სახე. გამოჩნდა მთელი წყება რეაქციის ბელადების ფიგურებისა: დენიკინის, კოლჩაკის, იუდენიჩის, პეტლიურას, მახნოს, ვრანგელის და სხ. რევოლიუციას ახსოვს კრიტიკული, საბედისწერო მომენტები. ერთ ხანს დენიკინის მხედრობა მოსკოვის კრემლს უკაკუნებდა. წითელი პეტროგრადი შავ ალყას ციებ-ცხელებას განიცდიდა. ამავე დროს ევროპის იმპერიალისტებიც ერეოდენ საქმეში. ისინი აწვდიდენ რეაქციის გენერლებს, საომარ მასალებს, სურსათ-სანოვაგეს. ბურჟუაზიული ევროპა მთელი ძალ-ღონით სცდილობდა ინტერვენციის ლოღიკურ დასკვნამდე განვითარებას. ზარბაზნებით ნადგურდებოდა ქალაქები. ცეცხლში იწვოდა დაბა-სოფლები. სამოქალაქო ომი დამთავრდა. იარაღის ჟღარუნი შეწყდა. ბრძოლაში გამარჯვებული საბჭოთა ხელისუფლება გამოვიდა. მშრომელ გლეხობის პროლეტარიატის რაზმებთან ორგანიულად დაკავშირებამ შესძლო კონტრევოლიუციონურ ბანდების დედა მიწასთან გასწორება. რევოლიუციის მომავალი უზრუნველყო მიწის მუშების შეგნებულმა ბრძოლამ ახალი სოციალ ურთიერთობის განხორციელებისათვის. უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო ბრძოლების გასწვრივ ხელმძღვანელის როლს ქალაქის პროლეტარიატი თამაშობდა. იგი წარმოადგენდა გამოცდილ გენერალს გრანდიოზულ შეჯახებაში. მაგრამ სარდალი უჯაროდ იგივეა, რაც ჯარი უსარდლოდ. კიდევ მეტი, ხელჩართულ, პარტიზანულ ბრძოლაში ჯარის შეგნებულ მოქმედებას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ სარდლის მიერ სტრატეგიულ პუნქტების და სამხედრო გეგმების მნიშვნელობას. აშკარაა, სოციალისტური რევოლიუციის ძლევამოსილობა არაა შედეგი მარტო პროლეტარული ბრძოლის, ან მარტო სოფლის მშრომელი გლეხობის რევოლიუციონური თავგანწირვის. სოფლისა და ქალაქის ღარიბ მუშების მთლიანმა ფრონტმა ჩაჰკერა მსოფლიო ისტორიის სქელტანიან წიგნში წითელი ფურცლები. მშრომელი გლეხ-კაცობა აქტიორად

იბრძოდა სამოქალაქო ომის ასპარეზზე, ეკონომიურ ფრონტზე, საგარეო ურთიერთობის მოედანზე.

კაცობრიობის ისტორიაში ძნელად მოიპოვება ისეთი საშინელი მაგალითები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ორიოდე წლის წინედ საბჭოთა რუსეთის ცხოვრებაში. მშრომელმა ხალხმა საკუთარ ზურგზე გადაიტანა აუტანელი ეკონომიური სიდუხჭირე. სიმშილი, წყურვილი, სიცივე — სიტიტვლე, ათასნაირი ეპიდემიური სნეულებანი, ფიზიკური განადგურება — აი რით აინუსხება რუსეთის გლეხ-კაცობის ვითარება რევოლიუციონური ბრძოლების პროცესში. ყოველივე ამას მოუმატეთ 1920—21 წ. სტიქიური უბედურება. რამოდენიმე მილიონ მშრომელ გლეხთა უბნებში სიმშილობის ცელი დატრიალდა მოუსავლობა დააწვა დაღლილ-დაქანცულ გლეხ-კაცობას კისერზე. სასიკვდილოდ განწირულნი შრომის მილიონები ყოველგვარ სურაგატით იკვებებოდა. მშრომელმა გლეხობამ გამოიჩინა რკინის ნებისყოფა და სიმშილობის ფრონტზედაც მიიტანა გამარჯვების იერიშები. რევოლიუციამ გაიმარჯვა „შინაურ მტერზედაც". შეიძლება აუარებელი მწარე ფაქტების აღნუსხვა, რომელიც უეჭველად მოგვცემს რამოდენიმე ტომს რევოლიუციონურ ბრძოლის დაწვრილებითი სურათისას.

მიუხედავად იმ აუტანელ ატმოსფერის, რომელშიც უხდებოდა არსებობა რუსეთის ღარიბ გლეხ-კაცობას, ოქტომბრის რევოლიუციის წინაშე მაინც არ წამოჭრილა ვანდეას მაგალითი. გატიტვლებულ გაშიშვლებული, მშიერ-მწყურვალი სოფლის მასსა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ისხდა ბრძოლის ბარრიკადებში და ენერგიულ შეტევას აწარმოებდა რეაქციის მებაირაღტრეთა წინააღმდეგ: ეს ისტორიული ფაქტია. მისი სისწორით შემეცნება ბევრ რასმე გვავალებს მშრომელი გლეხ-კაცობის საკითხის გადაჭრასა და მშრომელი გლეხობის როლის გათვალისწინებაში რევოლიუციონურ სოციალისტურ ბრძოლაში.

არსებითად მსგავსი სურათები იშლება ჩვენს წინაშე მშრომელი გლეხ-კაცობის პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც ჩახედვით. ღარიბი გლეხობა არ წარმოადგენს პოლიტიკურად ინდიფერენტულ მასსას. ჩვენი რევოლიუციონური გლეხობისათვის სულ ერთი არაა სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის ფორმა მონარქიული იქნება, დემოკრატიული თუ საბჭოთა სისტემის. 1817 წ. თებერვალში გლეხობა შეებრძოლა მონარქიზმის ტახტს. იმავე წლის ოქტომბერში იგივე ხალხმა იერიში მიიტანა დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ და საბჭოთა ძალა უფლება დაამყარა. დღეს საბჭოთა აღმშენებლობაში მშრომელი გლეხ-კაცობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს. როგორც წითელი არმია უმთავრესად მიწის მუშებისაგანაა შემდგარი, ისე მშრომელთა კლასის ბატონობის ორგანოების—საბჭოების შემადგენლობის უმრავლესობა (დაახლოებით 60 პროც. საერთოდ) ღარიბ-ღატაკი სოფლელი გლეხების სახითაა წარმოდგენილი. მართალია, მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, ინდუსტრიალ ქალაქებში საბჭოები უმთავრესად ქალაქის მუშები სხედან და მუშაობენ. მაგრამ დაბა-სოფლებში, რომლებიც წარმოადგენენ საერთო ცხოვრების დასაყრდენ ბაზას, ნიწის მუშები ბრძანებლობენ. ხელისუფლების ცენტრალ ორგანოებში მეტად საგრძნობია სოფლის ღატაკთა რიცხვი მშრომელი გლეხ-კაცობა პროლეტარიატთან ერთად იბრძოდა და იბრძვის კაპიტალიზმის დამსხვრევისათვის. იგივე გლეხ-კაცობა ქარხნის მუშებთან ერთად ქმნის საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ მტკიცე ცხოვრების, საბჭოთა სახელმწიფოს რკინის საფუძვლებს.

თუ ჩავყვებით აზრთა ანალოგიურ დალაგებას უსათუოდ შემდეგი კითხვის წინაშე წავსდგებით: რა ამოძრავებს რუსეთის მშრომელ გლეხობას? ამის პასუხი თანამედროვე რევოლიუციის ხასიათის გაგებაშია ჩამარხული.

რუსეთის რევოლიუციის შინაარსი თავიდან ბოლომდე სოციალისტური მიზნებით და მოტივებით ამოიწურება. გლეხთა მასსაში ფესვები მაგრად ჰქონდა მოკიდებული სოციალისტურ იდეოლოგიას არა მარტო რევოლიუციის დასაწყისში, არამედ გაცილებით ადრე რევოლიუციამდე.

რუსეთში მუშათა მოძრაობა ყოველთვის ატარებდა სოციალისტურ მოძრაობის იერს. გლეხ-კაცობის ღარიბ წრეებში მიწის სოციალიზაციის იდეა პოპულიარული იყო. იგი წარმოადგენდა სათაყვანებელ მიზანს გლეხობის თვალში. ამის ძირითადი მიზეზი მდგომარეობდა ეკონომიურ ხასიათის პირობებში. თემური მიწათ-მოქმედება ქმნიდა გლეხობაში სოციალისტურ ფსიქოლოგიას.

რუსეთის გლეხობას არ ქონდა წარმოდგენილი აგრარულ ურთიერთობის არსებობა თემთან მიწათმოქმედების გარეშე. თებერვლის რევოლიუციამ გლეხობა ვერ დააკმაყოფილა. გლეხ-კაცობის სოციალისტურ მოთხოვნილებებს თავის დროზე ანგარიში არ გაუწია დროებითმა მთავრობამ. მენშევიკური მუნიციპალიზაციით, რაც ემყარებოდა მიწების დაქუცმაცება-დანაწილებას, პარცელიას, შეუძლებელი იყო რევოლიუციონურად განწყობილ „სოფლის სილატაკის" დაშოშმინება.

რუსეთის მშრომელი გლახ-კაცობის ისტორიული გამართლება უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ მან უარყო თებერვლის რევოლიუციის დაპირებანი, როგორც ბურჟუაზიული ლათაიები და გადადგა ნაბიჯი სოციალისტურ რევოლიუციისაკენ. რუსეთის მშრომელი გლეხი უფრო კარგად იცნობდა ვიქ. ჩერნოვს, კერენსკის, ვინემ ლენინსა და ტროცკის. იგი მთელი ათეულ წლების განმავლობაში იკვებებოდა ესერულ აზრებით. მაგრამ რაკი ესერებმა ვერ გაამართლეს ან სწორად ვერ გაიგეს რუსეთის ღარიბ გლეხობას აგრარულ მოძრაობის ხასიათი, სამუდამოდ ჩამოეშვენ პოლიტიკურ სიმაღლის დონედან და გაირიყენ მშრომელ მასსის წრეებიდან. ამხ. ლენინმა გამოაყენა სოციალისტური გადატრიალებას პრაქტიკული აზრი, გლეხობის დაჩაგრული არმია შეუდგა ამ აზრის განხორციელებას თანამედროვე სინამდვილეში. მაშასადამე, გლეხკაცობა შეებრძოლა თებერვლის ლოზუნგებს. როგორც **ბურჟუაზიულ** ლოზუნგებს და ორგანიზაციულად დაირაზმა ოქტომბრის გადატრიალების დროშის ქვეშ, რადგან **სოციალისტური** რევოლიუციის ფილოსოფიას ოქტომბერი გამოხატავდა. საფრანგეთის 1789 წ. რევოლიუცია ბურჟუაზიის მიზნების რეალიზაციას ემსახურებოდა.

გლეხობა აწყობდა ვანდეაში რაზმებს, ერთსულოვნად უყურებდა რობესპიერის წვალებას გილიოტინაზე. რუსეთის თებერვლის რევოლიუცია ლვოვ-გუჩკოვ-პურიშკევიჩების რევოლიუცია იყო თავის შინაარსით. მშრომელმა გლეხობამ ააღლარუნა იარაღი და „დროებით მთავრობა" საზღვარ გარედ—ევროპაში გადახვეწა.

ოქტომბრის გადატრიალების დანიშნულება ფეოდალ-კაპიტალისტურ რეჟიმის განადგურებაში მდგომარეობდა. ასეთია ისტორიული მოვლენათა პარალელები.

ქარხნისა და მიწის მუშები ორგანიულად მოექცნენ ინტერესთა მთლიანობაში. რევოლიუციამ გააბათილა მენშევიკური პარტია თავისივე „სიბრძნით" მშრომელ გლეხ-კაცობის შესახებ. „ყოველი **მშრომელი გლეხი**,—სწერდა მენშევიკი სტ. დერევენსკი 1907 წ.,—უფრო თავის „დამოუკიდებლობაზე" ფიქრობს, ვიდრე სოციალიზმზე და ფაბრი კის მუშას იგი ისე [illegible] შვიდს"-ო. (ხაზი ჩვენია გ. მ.).

ამ რიგად, რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის გაკვეთილები საბოლოოდ ნათელს ფე მშრომელი გლეხ-კაცობის ფსიხიკას და გლეხ-კაცო ბის მნიშვნელობას სოციალისტურ ცხოვრების აღ მშენებლობაში. რუსეთის მშრომელმა მასსამ საკუ თარი სისხლით და შრომით მისცა მაგალითებ მსოფლიო სოციალისტურ მწერლობას. ეგ მაგალ თები დაედვა საფუძვლად მესამე კომინტერნ სწორ თვალსაზრისს მშრომელ გლეხ-კაცობაზე.

გ. მუშიშვილი.

რადიო-დეპეშები

„ზაკროსტას" ცნობები 27 სექტემბრიდან.

გერმანიის ამბები

თუმცა იგი ინგლისი საერთოდ არაფერს ამბობს თავის მომავალ გეგმებზედ, მაგრა არა ოფიციალური ცნობებით, იგი ამზადებს ახალ საკონტრიბუციო გეგმას. ამ გეგმით გერმანიამ უნდა გადაიხადოს 40 მილიარდი მარკა ოქროთი. ეს თანხა უნდა აიღონ გერმანიისათვის საერთაშორისო ვალის მიცემით, რასაც ინგლისი დახმარებას გაუწევს. ამავე გეგმით საფრანგეთმა უნდა შესცვალოს რურის ოკუპაციის ხასიათი და სამხედრო ოკუპაცია გადააქციოს ეკონომიურ ოკუპაციად.

საფრანგეთის გაზეთების ცნობით, გერმანიის პრესაში სხვილი ასოებით არის დაბეჭდილი მთავრობის ოფიციალური ცნობა პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ. კოალიციის მომხრე გაზეთები სცდილობენ გაამართლონ მთავრობის გადაწყვეტილება. საფრანგეთის პრესა კმაყოფილებით ხვდება ამ გადაწყვეტილებას და გამოსთქვამს აზრს, რომ გერმანიის ნაციონალისტები, განსაკუთრებით ბავარიისა, ტყუილად იბრძვიან—პასიური წინააღმდეგობა გათავდაო.

პარიზში გავრცელდა ხმები, ვითომც გენერალი ლიუდენდორფი 15.000 კაცისაგან შემდგარი რაზმით იძვრით ბერლინისაკენ. ელიან რეინლანდის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას. გერმანიის მთავრობა ემზადება ყოველგვარი შესაძლებლობისათვის. თუ საჭირო იქნება მთელ სახელმწიფოში გამოცხადდება საალყო წესები.

დრეზდენში ხელმეორედ მოხდა მღელვარება, რომლის დროსაც მოკლეს ერთი კაცი.

პასიურ წინააღმდეგობის მოსპობასთან დაკავშირებით, საფრანგეთის მთავრობაში ფიქრობენ, რომ დაჭერილ ოლქებში მუშაობა უნდა განახლდეს არა ცალკე წარმოებების მიერ. არამედ მთელს მრეწველობაში.

გერმანიის კაბინეტსა და ცალკე სახელმწიფოების პრემიერების თათბირზედ მიაღწიეს სრულ შეთანხმებას პასიურ წინააღმდეგობის მოსპობის საკითხში. ყველა პრემიერებმა აღნიშნეს, რომ ისინი მზად არიან მხარი დაუჭირონ მთავრობას სახელმწიფოს დაყოფის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ.

ოკუპაცია ქმნილ ოლქების მრეწველობის წარმომადგენლებისა და შტრეზემანის თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება მუშაობის განახლება სწო მოებდეს გამომუშავებული გეგმით.

რეიხსტაგის სხდომა დანიშნულია ხუთშაბათ ოთხშაბათს შესდგება გარეშე საქმეთა კომისი სხდომა. გერმანიის მთავრობა ხალხისადმი მოწოდ ბაში ოფიციალურად განაცხადებს პასიურ წინაა მდეგობის შეწყვეტას.

ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ბრიტანე თის დომინიონები (დიდი ახალშენები; კანადა დ სხვ.) მოითხოვენ ინგლისისაგან გერმანიისათვი დახმარების პოლიტიკის წარმოებას. ბალდვინის ავ ტორიტეტი შეირყა, რადგანაც გავრცელდა ხმებ მისი პუანკარეს წინაშე კაპიტულაციის შესახებ.

პასიურ წინააღმდეგობის მოსპობის ცნობ დიდი სიხარული გამოიწვია საფრანგეთის ბურჟუ ზიაში, რომელსაც გერმანიის კაპიტულიაცია სა რანგეთის გამარჯვებად მიაჩნია და ფიქრობ რომ წინააღმდეგობის შეწყვეტა საფრანგეთის პ ლიტიკურ ჰეგემონიას მიანიჭებს ევროპაში. კომ ნისტური პრესა კი დიდ მნიშვნელობას არ აძლევ ამ გარემოებას, რადგანაც ფიქრობს, რომ გერმანი პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე სდგას.

საფრანგეთის პრესა, იხილავს რა წინააღმდე გობის შეწყვეტას, ამბობს, რომ უკანასკნელ 4 წ ლიწადში გერმანიის მთავრობას პირველად ჩაუდგ კაცი, რომელიც ღირსი იყო ამ თანამდებობისა.

ინგლისის პრესაში წინააღმდეგობის მოსპობა მღელვარება გამოიწვია, რადგანაც ეშინიანთ გერ მანიაში სამოქალაქო ომის დაწყებისა. ინგლისშ უფრო და უფრო ფეხს იკიდებს სიმპატია გერმანი სადმი. ფიქრობენ, რომ რურის ოკუპაციის ხასია შეიცვლება გერმანიის სასარგებლოდ.

იტალიის პრესა პესიმისტურად უყურებს გ მანიის მიერ წინააღმდეგობის მოსპობას, რადგა აქედან არაფერს სხეიროს გერმანიისათვის არ ელის. პრესის აზრით საფრანგეთი ეწინააღმდეგ გერმანიის ყოველგვარ ეკონომიურ აღდგენას. „ე ქა" წინასწარმეტყველებს, რომ მალე მთელი ევრ პა გადაიქცევა სავაჭრო სახლად, რომლის დირე ტორიც იქნება საფრანგეთი.

პრეზიდენტი ებერტი და მთავრობა წინაა მდეგობის შეწყვეტის ოფიციალურ განცხადება ფიცსა სდებენ, რომ ისინი ხელს არ მოაწერ არავითარ შეთანხმებას, რომლითაც გერმანიას რა

უწინდელი და აწინდელი

(წარსული და აწმყოს სურათები).

III

უწინ

სოფელი წინაკარი მთელი რაიონის ცენტრია. ცენტრი კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური, თუ კი შეიძლებოდა კულტურაზე და პოლიტიკაზე ლაპარაკი ცხრაას შვიდსა და რვა წელს, როდესაც რეაქციამ თითქმის უმწვერვალესობას მიაღწია. მთელი რაიონის სიცოცხლის ძარღვი სწორედ ამ წინაკარში სცემდა, მაგარი ძაფებით იყო იგი გადაბმული ირგვლივ მდებარე სოფლებთან, მათი წინამძღოლი, მაგალითის მაჩვენებელი, დამრიგებელი და ხშირად მბრძანებელიც. ასე იყო ცხრაას ხუთამდე, შემდეგ ცხრაას ხუთი წლის რევოლიუციის დროს, და მერმე რეაქციის ხანაშიაც. ყოველ კვირა ბაზრობა, ახლა რკინის გზის სადგური, მრავალი მოვაჭრე ხალხი, რასაკვირველია იზიდავდენ ახლო მახლო მდებარე სოფლებიდან ხალხს და საქონელს, თვითონ წინაკარიც სავსე იყო დუქნებით და სავაჭროებებით და აქაურ ვაჭრებს საქმე პირდაპირ ტფილისის მსხვილ მოვაჭრეებთან ჰქონდათ დაჭერილი. სოფელში ორ კლასიანი სკოლა არსებობდა, საკმაოდ ინტელიგენციაც მოიპოვებოდა. ასე რომ წინაკარს კულტურული გავლენაც ჰქონდა მეზობელ სოფლებზე.

ცხრაას ხუთი წლის შემდეგ, როდესაც ყველა ვინც კი არ ეგუებოდა და ვერც ურიგდებოდა რეაქციას და იძულებულ იქმნა ხალხის განთავისუფლების საქმე ბნელ სარდაფებში და იატაკს-ქვეშ გადაეტანა, მაშინ წინაკარშიაც გაჩაღდა ფარული ორგანიზაციის მუშაობა და უნდა ითქვას მუშაობა მეტად მხნე და ენერგიული და აი ამ მხრითაც წინაკარი გახდა ერთგვარი ცენტრი, მაგალითის მაჩვენებელი და ხელმძღვანელი მთელი რაიონისა. მეტად მტკიცე და უნარიანი აღმოჩნდა აქ რევოლუციონერთა ფარული ორგანიზაცია ტყუილად კი არ უწოდებდნენ პოლიცია და ჟანდარმები სოფელ წინაკარს „რევოლიუციონერთა ბუდე"ს, მაზრის უფროსი კი წინაკარს ეშმაკის კარს ეძახდა.

დიდი მსხვერპლი გაიღო წინაკარმა ცხრაას ხუთის შემდეგ, დღე ისე არ გავიდოდა რომ რამდენიმე კაცი არ გამოიგლიჯათ სოფლიდან და არ ეკრათ მათთვის თავი ტფილისის საპყრობილეში. წინაკარის მრავალი ახალგაზრდობა თავის და უნებლიედ გაემგზავრა რუსეთის შორეულ ცივ ქვეყნებში. „ოხრანკა" განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა წინაკარს, ჯაშუშები მუდამ დაძრწოდნენ.. მაგრამ არც რევოლიუციონერები აკლებდნენ ყურადღებას წინაკარს. ხალხმა იგემა ცხრაას ხუთში თავისუფლება და არც ისე ადვილად დაივიწყებდა მის გემოს. რეპრესიებმა და რეაქციამ ხალხში მხოლოდ შურის ძიების საშინელი წყურვილი დაბადა, მიყუჩდა ხალხი, შეიკუმშა მებრძოლნი სოროებში მიიმალნენ, მაგრამ ფარულად იჭედებოდა საშინელი იარაღი, მზადდებოდა ახალი თავდასხმა და ძველი ქვეყნის განადგურება. „ერთობა" აი ის ხატი რომელსაც ხალხი ფარულად თაყვანსა სცემდა და ლოცულობდა. ხალხთან ახლო მდგომი წვრილფეხა ადმინისტრაცია ინსტინქტით გრძნობდა ამას და მიუხედავად რეაქციის გამარჯვებისა, მაინც ვერ ბედავდა აშკარა მოურიდებელ თავხედობას, მეტადრე წინაკარში, სადაც მან მწარე დღეები გაატარა საკმაო შიში განიცადა, იცოდა აქაური ორგანიზაციების ძალა და გავლენა და მიუხედავად ჟანდარმთა წაქეზებისა და დატუქსვისა, მაინც რეაქციის წადილს და ზრახვებს სავსებით ვერ ანხორციელებდა. ერთი სიტყვით ადგილობრივი პირობები ცოტა არ იყოს ხელს თითქოს უწყობდნენ ფარულ მუშაობას. რეაქციამ საგრძნობლად შეასუსტა წინაკარელთა რევოლიუციონური ძალები, მაგრამ არც იმდენად, რომ წინაკარი კვლავ მთელი რაიონის სათავეში და მისი ხელმძღვანელი არ დარჩენილიყო. წინაკარელი ქუდს იგლეჯდა ადმინისტრაციას წინაშე, თითქოს მორჩილი და ყველა მისი განკარგულების აღმსრულებელი იყო, მაგრამ ფარულად კი ორგანიზაციის მუშაობაში მხნე მონაწილეობას ღებულობდა...

იცოდა ყველა წინაკარელობა, რომ მათში ერთობა კვლავ ძლიერია, კვლავ მთელი ხალხი მზადაა თუ კი დრო მოიტანს და საჭირო გახდა, აღსდგება და მოურიდებლად თავ განწირვით შეებრძოლება შავ ძალებს აშკარა ურჩობას ხალხი არ იჩენდა, არავითარ აქტიურ გამოსვლებს ადგილი არა ჰქონია, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ ხალხის გულში ერთობის ცეცხლი არ ჩამქრალა და უჩინრად ღვივის, ვით ნაკვერჩხალი ნაცარ ქვეშ, დაჰბერავს თავისუფლების სიო და კვლავ გაღვივდება და უშველებელ კოცონად იქცევა. თითქმის ყოველ თვე იცვლებოდა ადგილობრივი ადმინისტრაცია, თითქმის ყველა მათგანს უფროსები უმოქმედობას აბრალებდნენ, მაგრამ ვერ იქნა ვერ მოულეს ბოლო წინაკარის ფარულ ორგანიზაციებს. არა ერთხელ დასცემიან ჟანდარმები წინაკარს, აუქოთებიათ და გადაუბრუნებიათ მთელი სოფელი, აუარებელი ხალხი დაუტყვევებიათ, თითქოს მთლად გაუნადგურებიათ ფარული ორგანიზაცია. მაგრამ მოკლე ხანში იგი კვლავ აჩაღებდა მუშაობას, კვლავ იზრდებოდა და ძლიერდება, ვით მოთიბული ბალახი ნოყიერ ნიადაგზე.

მეტადრე ბოლო ხანებში დაეტყო ორგანიზაციის მუშაობას მეტი მხნეობა, მან სისტემატიური ხასიათი მიიღო, უფრო განმტკიცდა კავშირი მეზობელ სოფლებთან, წინაკარის ორგანიზაციამ ხშირი და მაგარი ქსელი გაება ირგვლივ. ორგანიზაციის სათავეში ჩადგა წინაკარის სკოლის მასწავლებელი გიორგი ზარიშვილი, შეგნებული, განვითარებული და კარგად მომზადებული პოლიტიკურად ადამიანი, დახელოვნებული და გამოცდილი ფარულ მუშაობაში, გიორგის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა კონსპერაციისა და მასთან არა ჩვეულებრივი ორგანიზატორი იყო...

ადგილობრივი ადმინისტრაცია მუდამ დიდის ყურადღებით უთვალთვალებდა გიორგის, გრძნობდა კიდეც მის მნიშვნელობას, მაგრამ გიორგის ისე ეჭირა თავი და ისე იქცეოდა, რომ ვერ იქნა პატარა საბუთიც კი ვერ გამონახა ადმინისტრაციამ მის წინააღმდეგ. ჟანდარმებიც იცნობდნენ გიორგის, არა ერთხელ გაჩხრიკეს, არა ერთხელ დააპატიმრეს, მაგრამ მაინც ვერა უპოვეს რა.

ახლად დანიშნულ ბოქაულს მაზრის უფროსი ასე არიგებდა მუდამ: „იცოდეთ, წინაკარი მეამბოხეთა ბუდეა, დიდი სიფრთხილე გჭირიათ, მაგრად და სასტიკად უნდა მოეპყრათ სოფელს, მეტადრე განსაკუთრებული თვალყურის გდებაა საჭირო ადგილობრივ მასწავლებლის გიორგი ზარიშვილის მიმართ. თავი და თავი ისაა, მაგრამ ვერ ჩავიგდეთ ხელში. წარმოიდგინე ადგილობრივი მღვდელი მამა იროდიონ ფარიშვილიც სანდო არ არის, ვიცი ჩვენს წინაშე ქუდს იხრის და ერთგულობას გვეფიცება, მაგრამ დიდი გამოქნილი ფარისეველია, ხალხში აგიტაციას ეწევა და აქეზებს. არა ერთხე მინდოდა მისი შებოჭვა და კისრის მოგრეხა, მ რამ არ ვიცი რა მოსაზრებით ჟანდარმის პოლკო ნიკი ამის წინააღმდეგია: „აცა, მოიცა, ჯერ ადრევიაო, ხელიდან არ წაგვივა"-ო...

მართლადაც ხალხი მამა იროდიონს როგორ ერთობის ერთგულს იცნობდა და თვითონ მოძღვ რიც არა მალავდა ხალხში, რომ იგი ერთობის ე თგული და თაყვანისმცემელია. არიგებდა, აქეზებ სადაც კი მოახერხებდა მამა იროდიონი ხალხს ერთიანობისაკენ მოუწოდებდა. აშკარა უკმაყოფილებ გამოსთქვამდა ადმინისტრაციის მოქმედებისას წვრილფეხა ადმინისტრატორებს პირდაპირ კრი ში ედგა. აღსარების დროს ყველა სოფლელს გამ ჰკითხავდა თუ რამდენად იგი თანაუგრძნობდა ე თობას, თანაც აქეზებდა და არიგებდა: „იცოდ შვილო, ნათქვამია: ხალხის თქმა ღვთის თქმა არ სო... ქრისტესათვის ყველა თანასწორი იყო და უ რო კი ღატაკს და მაშვრალს სწყალობდა, მათ ჰპ უდებოდა სამოთხეს"...

ხალხს უყვარდა თავისი მოძღვარი, გულს სნიდა მას, არაფერს უმალავდა. იცოდა ხალხ რომ მამა იროდიონს არა ერთი მებრძოლი ერთობ სა გადაურჩენია, არა ერთხელ ფარულად დაურ გებია პროკლამაციები. იცოდა ხალხმა რომ ადგ ლობრივ ადმინისტრაციას არ მოსწონდა მამა იროდ დიონი, სდევნიდა მას. ხშირად წინაკარელები აფრ თხილებდნენ კიდეც მამა იროდიონს: მამაო შ თავს გაუფრთხილდი, ეგრე აშკარად ნუ ამჟღავნ შენს გულის წადილს... დაგემართება რამე და ჩვ ობლად დავრჩებით"-ო... მაგრამ მღვდელი მაი თავისას არ იშლიდა.

ყველას გული მოიგო მამა იროდიონმა, ხა ხში დიდი ნდობა და გავლენა ჰქონდა, ყველა ე დლიერებოდა, მაგრამ ვერ იქნა ვერ დაუახლოვ ვერ მოიგო მასწავლებელ გიორგის გული. მეტ თავდაჭერილი იყო მასთან გიორგი. ხშირად და რებოდა იროდიონი გიორგისთან, ხშირად ჩამო გდებდა ერთობის საქმეზე ლაპარაკს, არა მალა თავის გულის ზრახვას, აშკარა რევოლიუციონერ მოჰქონდა თავი, იცოდა გიორგიმ ამ მხრით მ ღვაწლი, „ცენტრიდანაც" არა ერთხელ მოსვლ რჩევა, ადგილობრივი მღვდელი გამოიყენე, მუშაო ბაში ჩააბით, მაგრამ გიორგის მაინც გული არ

მე ტერიტორია ჩამოშორდება.

გერმანიის სხვა და სხვა ადგილებიდან მოდის ცნობები სეპარატისტულ მოძრაობის გაძლიერების შესახებ. კერძოდ, ბავარიისა და რეინლანდიის ჩამოშორება აუცილებლად მიაჩნიათ.

ბოლგარეთში

ბოლგარეთის ოფიციალური ცნობებს აჯანყების ჩაქრობის შესახებ უარყოფს ბელგრადიდან (სამხრეთ-სლავია) ბერლინში მიღებული ცნობები.

მაშინ როდესაც ბოლგარეთის ოფიციალური ცნობები (სადაც სასტიკი ცენზურა არსებობს). ამბობენ მთავრობის გამარჯვებას, სამხრეთ-სლავიის ცნობები აღნიშნავენ აჯანყების წარმატებით განვითარებას.

ბოლგარეთის ოფიციალური ცნობებით, 22 სექტემბერს კაზალიკის ოლქის სხვა და სხვა ადგილებში გამოაცხადეს საბჭოთა ძალა-უფლება, მაგრამ ჯარმა აღადგინა წესიერება. აჯანყებულები გამაგრდნენ მთებში. სამხედრო მოქმედება არ დამთავრებულა.

ვენის გაზეთების ცნობით რამდენიმე დღე გრძელდებოდა სისხლის მღვრელი შეტაკებანი, ორივე მხარეზე მოკლულია 684 და დაჭრილი 2,000 კაცი.

ბოლგარეთის მთავრობამ ბრძანება გასცა სასტიკი ზომები იხმარონ აჯანყების ჩასაქრობად. მთავრობის ჯარს გარდა კომუნისტებს ებრძვიან კომიტაჯიები.

პარლამენტი დათხოვნილია.

სამხედრო სასამართლოების უფლებები გაფართოებულია.

უკანასკნელი ცნობებით მეფემ მიიღო ცანკოვის გადადგომა და ახალი კაბინეტის შედგენა მაკედონიის ლიდერს ალექსანდროვს.

საიდუმლოდ მცხოვრები, ყოფილ სტამბულინსკის კაბინეტის მინისტრი, ობოვი აცხადებს, რომ მეფეს აღარ შეუძლიან შეინარჩუნოს ტახტი, რადგანაც სახელი გაიტეხა ცანკოვის რეჟიმის ცნობით. იგი პროპაგანდას ეწევა რევოლიუციონური მთავრობის შესაქმნელად.

ბოლგარეთის სოციალ-დემოკრატები აჯანყებას სთვლიან „ავანტიურისტულ ანარხიზმად“ და ყოველ მხრივ ეხმარებიან ცანკოვს აჯანყების ჩაქრობაში.

მოძრაობა იმდენად ფართოვდება, რომ მთავრობაც ველარ მალავს ამას.

ლონდონის გაზეთების ცნობით მდგომარეობა სულ უარესდება. ბევრ ადგილებში სწარმოებს ბრძოლა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს რამდენიმე ათასი მუშა და გლეხი.

რკინის გზის ლიანდაგი ბევრგან გაფუჭებულია, რაც ხელს უშლის ჯარების მიმოსვლას. მთავრობას ეშინიან რკინის გზისა და ფოსტის მოსამსახურეთა საერთო გაფიცვისა.

ბოლგარეთის კომპარტიის წარმომადგენელი კომინტერნში ფიქრობს, რომ, თუ ცანკოვის მთავრობა დაეცა, ბოლგარეთში დაარსდება მუშათა და გლეხთა ძალაუფლება.

მუშათა მოძრაობა

ლონდონი. შესდგა უმუშევართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. ორატორები აკრიტიკებდნენ მთავრობის საემიგრაციო პროექტს.

ლონდონი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიას განზრახვა აქვს მოაწყოს სხვა და სხვა პროფორგანიზაციების კონფერენციები, რათა შეამზადოს მუშები წარმოებებზედ კონტროლის გაწევისათვის, მათი ნაციონალიზაციის შემდეგ.

მოსკოვი. კომინტერნის აღმასკომმა მოწოდებით მიმართა იაპონიის და მთელი ქვეყნის მუშებს, სადაც აღნიშნავს იაპონის მთავრობის სიძულვილს მუშებისადმი და ურჩევს იაპონიის მუშებს შექმნან მთლიანი მოქმედების კომიტეტი მიმართულებათა განურჩევლად, რათა შეერთებული ძალებით იბრძოლონ ბურჟუაზიულ მთავრობის ჩამოსაგდებად და მუშათა და გლეხთა მთავრობის შესაქმნელად.

ნიუ-იორკი. გამომცემელთა კავშირის თავმჯდომარე იმუქრება, რომ სამუშაოდ მოიწვევს შტრეიკბრეხერებს. გაფიცულებმა უპასუხეს, რომ მუშაობას მაინც არ დაიწყებენ.

ვენა. ინდოეთის ქალაქებში, საქსოვ წარმოების მწვავე კრიზისის გამო, დაიწყო გაფიცვები. მჭარმოებლები იმუქრებიან ლოკაუტებით და მუშების დათხოვნით.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო.

პეტროზავოდსკი. 23 სექტემბერს, ღამით, კირელიიში ფინეთის საზღვრიდან 1 ნახევარ ვერსის მანძილზე, დაბა ლადვოზერში 8 კარელიელმა, რომლებიც ჩამოვიდნენ ფინეთიდან, მოჰკლეს ფინეთიდან მომავალი მესამე სასაზღრო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლავროვი, მძიმედ დასჭრეს კომისიის წევრი ლებედევი და პოლიტიკურ მთავარ სამართველოს წარმომადგენელი, რომელიც შეჰხვდა კომისიას საზღვარზედ. მკვლელები მიიმალნენ საზღვარ გარედ.

თეირანი. (სპარსეთი) ს. ს. რ. კ. წარმომადგენელმა შუმიაცკიმ გადასცა შახს რწმუნების სიგელი და აღნიშნა; რომ იგი ძველებურად იმუშავებს ამ ორ სახელმწიფოთა პოლიტიკურად და ეკონომიურად დაახლოვებისათვის.

საპასუხო სიტყვაში შაჰმა ხაზი გაუსვა, რომ მისთვის მეტად ძვირფასია საკავშირო მთავრობის ყურადღება და ისეთი დიპლომატის დანიშვნა, რომელიც იმუშავებს სახელმწიფოთა დაახლოვების სასარგებლოდ.

პარიზი. სენატორი დე-მონზი საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრთან მიწერილი წერილში აღნიშნავს, რომ საჭიროა რუსეთში საფრანგეთის წარმომადგენლის დანიშვნა.

უცხოეთი

პარიზი. ოსმალეთის გაზეთების ცნობით, ოსმალეთმა მოიწონა მერსინის ნავთსადგურის გასაშენებლად ფრანგთა საზოგადოების კონცესიის პროექტი.

ბერლინი. საბერძნეთის პარლამენტის არჩევნები დანიშნულია 2 ოქტომბერს.

ბერლინი. ფიუმეს საკითხში სამხრეთ-სლავიაში გაიმარჯვა დემოკრატებისა, აგრარიებისა. კლერიკალებისა და ბოსნიის მაჰმადიანთა ბლოკმა, რის გამოც პაშიჩის კაბინეტს საფრთხე მოელის.

ბერლინი. „კორრიერე დელლა სერა“-ს ცნობით, საკავშირთაშორისო კომისია ელჩთა კონფერენციას აცნობა, რომ იანინის მკვლელობა ჩადენილია პოლიტიკურის მიზნით. კონფერენციამ დაადგინა შვეიცარიის ბანკში საბერძნეთის მიერ შეტანილი 50 მილ. ლირა მიაკუთვნოს იტალეთს. კორფუს ევაკუაცია დაიწყება 27 სექტემბერს.

პარიზი. ესპანეთის სინდიკალისტების ბელადმა ლესტანმა განაცხადა, რომ გადატრიალება მათთვის მოულოდნელი იყო. მას იმედი აქვს, რომ დე-რივერას დიქტატურა დიდხანს ვერ გასძლებს და მას შესცვლიან სინდიკალისტები.

ლონდონი. ოსმალეთმა მოსთხოვა ამერიკას გაიყვანოს კონსტანტინოპოლიდან სამხედრო გემები.

ანგორა ევაკუაციის შემდეგ ინგლისი კონსტანტინოპოლში სტოვებს ერთ კრეისერსა და ერთ ნაღმოსანს:

ვენა. ტრიპოლიტანში შეტაკება მოუხდათ იტალეთის ჯარსა და აჯანყებულ ადგილობრივ მცხოვრებთ.

ანგორა. ინგლისელები დასთანხმდნენ ქებზეხეილარ-ფაშას რკინის გზის ოსმალეთისათვის გადაცემას.

ბერლინი. ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაში დაიწყო ახალი კონსტიტუციის განხილვა, რომლითაც დღეიდან ოსმალეთი ცხადდება რესპუბლიკად პრეზიდენტით სათავეში. პრეზიდენტს ისეთივე უფლებები ექნება, როგორც შეერთებულ შტატებში. პირველი პრეზიდენტი, ფიქრობენ, იქნება ქემალ-ფაშა.

ვენა. ერთა ლიგის სეკრეტარიატმა დაადგინა მცირე ერების საჩივარი თავის მთავრობაზედ გადაეგზავნოს პირველ ყოვლისა თვით ამ მთავრობას, რომელმაც ეს საჩივარი თავისი ახსნა-განმარტებით 6 დღის განმავლობაში უნდა დაუბრუნოს ერთა ლიას. ეს გადაწყვეტილება გამოწვეული პოლონეთისგ დელეგაციის ცდით, რმთა ამით გააქარწყლოს პოლონეთში მოქცეულ მცირე ერების საჩივარი, შეტანილი ერთა ლიგაში.

კოპენჰაგენი. (დანია). ახალ ბოროტმოქმედებების აღმოჩენის გამო დაატუსაღეს სართაშორისო დამზღვევ კამპანიის ყოფილი დირექტორი, ოგევინგორტი. გარდა ვინგორტისა ბოროტმოქმედებაში ჩარეულია მთელი რიგი ფინანსისტებისა და ერთი მინისტრი

სტოკჰოლმი, შვეციის მთავრობამ გადასწყვიტა შესწყვიტოს უმუშევართ დახმარება, ვითომც იმ აზრით, რომ უმუშევრობა შემცირდა. ნამდვილად კი შვეციაში ირიცხება 19.000 უმუშევარი.

პარიზი. ენპანეთში დე-რივერამ სასტიკად აღკრძალა რევოლიუციონურ ორგანიზაციების აგიტაცია ფაშიზმის წინაღმდეგ.

ჰელსინგფორსი. ესპანეთის ელჩმა ფინეთში სთხოვა ფინეთის ფაშისტების ბელადებს მისცენ მას დაწვრილებითი ცნობები ფაშისტური ორგანიზაციის შესახებ, რათა ასეთივე შექმნან ესპანეთში.

ქაბული. ინდოეთის კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია საკანონმდებლო კრების ბოიკოტის მოსპობის შესახებ.

ახალი ამბები

— **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო სახელმწიფო გამომცემლობისაგან შემდეგი წიგნები: 1) წერილები კ. მარქსის და ფრ. ენგელსის, 2) თვალსაჩენო გეომეტრია 3 ნაწ. ნ. შაფაქიძის, 3) მეთოდიური ხრისტომატია 3 ნაწ., 4) ახალი სკოლისაკენ 2 ნაწ. რუსულ და ქართულ ენაზე; 5) ასირიული სახელმძღვანელო გეორგიევისა. დაწვრილებით შემდეგ.

— შაბათს, ა | წ. სექტემბრის 29, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში (ყოფ. მიხეილის საავადმყ.) სრულ 7 ნახ. საათზე შესდგება მორიგი სხდომა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების. დღის წესრიგი: ა) ექ. ნ. მახვილაძე და სტუდ. გრ. დიდებულიძე **„ანკილოსტომიაზისი (Ankylostomiasis) საქართველოში“** ავადმყოფის და პრეპარატების დემონსტრაციით. ბ) მორიგი საკითხები.

— **მუშათა კლუბი ვერაზე.** თანახმად ვერის მუშათა შუამდგომლობისა, ქალ. აღმასკომმა წინადადება მისცა უძრავ ქონებათა სამმართველოს სასწრაფოთ გაანთავისუფლოს წყნეთისა და ლენინის ქუჩის კუთხეში მდებარე მიწა ვერის მუშათა კლუბის ასაგებათ და გადაეცეს საამშენებლო კომიტეტს.

— **საჩუქრები კურსანტებს.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა ცხენოსანთა ბრიგადის კურსანტებს გამოშვების დღისათვის მიეცეს 300 მილ. მანეთი.

— **გაზ. „ხომლი“.** კვირას, 30 სექტემბერს, გამოვა სრ. საქ. მწ. კავშირის სიტყვა-კაზმული გაზეთის „ხომლის“ პირველი ნომერი.

— **წარმომადგენლის დანიშვნა.** საქ. პროფკავშირთა საბჭომ თავის წარმომადგენლად სახალხო სახლის ქართულ დრამის გამგეობაში დანიშნა ამხ. ი. ჰელიძე და ი. ელიაშვილი.

— ა. კ. შრომის კომისარიატის სამედიატორო სასამართლოში გაირჩევა ა. კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატისა და ა. კ. საოლქო სახალხო ქსელის გამგეობის შორის ახალ სატარიფო შეთანხმების ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტი. მოსამართლეებად დანიშნული არიან ამხ. ამიროვი და გრიშინი.

— **შემრიგებელი კამერები ტრანსპორტზე.** საქ. სახ. საბჭოთა კომისარიატის მიერ გაუქმებულად ცხადდება შემრიგებელი კამერები ტრანსპორტზე.

— **შაუმიანის სახელობის ქალაქი.** შულავერის ადგილობრივ ორგანიზაციების დადგენილებით შულავერს ეწოდა „შაუმიანის ქალაქი“.

— **ყაზარმის შეკეთება.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა მიეცეს ცხენოსანთა ბრიგადის სამხედრო სკოლას ყაზარმის შესაკეთებლად და მოსაწყობად წინ და წინ 30 ჩერვონეცის მანეთი.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** საქ. სასურსათო კომისარიატის ცნობით 20 სექტემბრისათვის სიღნაღის მაზრიდან შემოსულია 239 ფუთი ხორბალი და 1024 ფ. ქერი.

— **ამხ. კამოს სახელობის მუშათა საავად-**

ვა იროდიონისაკენ. მუდამ მისდამი რაღაც უნდობლობას ჰქონდა ადგილი და რომ გეკითხათ გიორგისათვის ამის მიზეზი გარკვევით ვერას გეტყოდაო, ხოლო მღვდელთან საუბრის დროს გიორგის ტუჩები ეკმუშებოდა, მეტად თავდაჭერილი იყო. ვერ ეგუებოდა მის მსოფლმხედველობას მღვდლის „ანაფორა“; თუ იროდიონის მუდმივი ფიცი ერთგულებაში უნებლიედ ეჭვს ბადებდა, მაგრამ... გიორგის მღვდელი არ მოსწონდა, ვერ ენდობოდა... პირიქით გიორგის ცოლი ანეტა, მეტად მორწმუნე ქალი მამა იროდიონს პირდაპირ აღმერთებდა და ნამდვილ წმინდანად მიაჩნდა. ყოველ გაჭირვებაში, ან და რაიმე სახიფათო საქმეში ანეტა მუდამ იროდიონს მიმართავდა და მის დიდს გავლენის ქვეშ იყო. არც ერთ წირვა ლოცვას ანეტა არ მოსცდებოდა, თავის დროზე აღსარება, ზიარება და მისი სული და გული მთლად გადაშლილი იყო მამა იროდიონისთვის. ორივეს გულს უკლავდა და აწუხებდა გიორგის ურწმუნოება, ანეტა ორმაგად ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთს, რათა „გაენათლებინა“ სული ურწმუნო ქმრისა მისი. უყვარდა გაგიჟებით ქმარი, მაგრამ გულს უკლავდა მისი „ატეისტობა“... თან კიდევ მისი პოლიტიკური მოღვაწეობა მოსვენებას არ აძლევდა, მუდამ შიშის ქვეშ იმყოფებოდა, აი ან ეხლა, ან მალე თავს დაატყდება უბედურობა. მაგრამ კი ვერას უბედამდა სიტყვით ქმარს, მამა იროდიონისაგან შესმენილი ჰქონდა ერთობის საქმე დიდი საქმეა, თვით ღვთისაგან დალოცვილიო. არა ერთხელ შეუჩივლია ცრემლით ანეტას მამა იროდიონისათვის „მეტად ჩაება გიორგი ფარულ მუშაობაში და მეშინის არა დაემართოს“-ო... იროდიონი მუდამ ამშვიდებდა, ჰპირდებოდა თუ კი საჭირო იქნება და რასმე გახდება, სულით და გულით დახმარებას. ანეტას საშუალებით იროდიონმა ყველაფერი იცოდა. თუ რა ხდებოდა გიორგის ოჯახში, ვინ დაიარება მასთან, ან ვისთან უფრო მჭიდრო კავშირი აქვს. საზოგადოდ მამა იროდიონი ჩახედილი იყო ფარულ ორგანიზაციის საქმეებში, მართალია პირდაპირ მონაწილეობას არ ღებულობდა მის მოქმედებაში, ალბად ამის მიზეზი გიორგი იყო, თორემ ცოდნით კი ყველაფერი იცოდა. გულუბრყვილო სოფლელები, რომელნიც განსაკუთრებული ნდობით უცქეროდნენ იროდიონს, ღრმად დარწმუნებულნი იყვნენ მის თანაგრძნობაში, „სულიერ მამას“ არას უმალავდნენ. მეტადრე აღსარების დროს იროდიონი მეტად მოხერხებულად გამოჰკითხავდა ხოლმე მონანიების წყურვილით სავსე მრზიარეთ სოფლის ყოველგვარ ამბებს. ხშირი იყო ასეთი საუბარი მოძღვარსა და მლოცველის შორის:

„ერთობას ხომ თანაუგრძნობ, ხომ ემსახურები, ხომ არაფერში ღალატობ?“—ეკითხებოდა მოძღვარი.

— „მამაო, სულით როგორ წავწყდები, ერთობას როგორ უღალატებ?.. სასოებით ეუბნებოდა მოზიარე, იცოდა რომ მღვდელიც ერთობის მოციქულია.

არ უმალამდნენ მღვდელს თუ სადმე საიდუმლო კრებას ესწრებოდნენ, თუ ხალხში რა იმედებია, ან და ვის რა დამსახურება მიუძღვის ერთობის საქმეში. ამ წყაროდანვე იცოდა იროდიონმა თუ რა გავლენა და მნიშვნელობა აქვს მასწავლებელ გიორგის მუშებში და გლეხებში და თავის მხრითაც ყველას ურჩევდა:

„მასწავლებელს გაუგონეთ, ნასწავლი, გამოცდილი კაცია, ერთობისთვის თავდადებული.. მას მიჰყევით“...

ყოველ დიდმარხვის ბოლოში და საზოგადოდ ყოველ ზიარების შემდეგ რეგულიარად ერთი და იგივე ამბავი ხდებოდა წინაკარში: უსათუოდ რამდენიმე კაცს შეიპყრობდა პოლიცია და გზავნიდა ტფილისში ჟანდარმთა განკარგულებაში. ხალხს მეტად აღშფოთებდა ეს ამბავი და ყველაზე მეტად კი თვითონ მამა იროდიონს. წინაკარში არავის დაავიწყდება ის დღე, როდესაც ბოქაულმა ნაალდგომევს ათი კაცი, საუკეთესო მუშაკნი დააპატიმრა და და გააგზავნა სამაზრო ქალაქში. განრისხებული და აღშფოთებული მამა იროდიონი მიუვარდა ბოქაულს კანცელარიაში რა იქ მყოფ ხალხის წინაშე ისეთი ამბავი დააწია, რომ ბოქაული მთლად დაიბნა და გააფთრებულ მღვდელს ვერაფერი უპასუხა.

„რას სჩადით?“ უყვიროდა ბოქაულს იროდიონი: გინდათ ხალხს სარწმუნოებაზე ხელი აალებინოთ, გინდათ ეკლესიაში ფეხი ააკვეთინოთ?... მაშ ნუღარ ეზიარება წმინდა საიდუმლოს ხალხი თქვენის შიშით?.. გაგონილა ასეთი ამბავი: უმაღლესი მართველობა გვიბრძანებს სარწმუნოება განამტკიცეთ ხალხში, თვალყური ადევნეთ, რომ არავინ მოაკლდეს აღსარება—ზიარებას და თქვენ კი რას ჩადიხართ?“.. უყვიროდა აღშფოთებული ილარიონი და ემუქრებოდა: ექსარხოსს ვაცნობებ, სინოდში მოხსენებას გავგზავნი და ნახამთ თუ რა დაგემართებათო..... ხალხმა ძლივს დაამშვიდა და წამოიყვანა განრისხებული მღვდელი: „მამაო, ემანდ არა დაგმართონ რა, რა უყოთ ბევრი აგვიტანია, მაგასაც ავიტანთ“, ეუბნებოდნენ სოფლელები და თან ამაყობდნენ, რომ ასეთი მღვდელი ჰყავთ.—

ბოქაულმა მაინც აცნობა ეს ამბავი ვისაც ჯერ არს და პასუხად მოუვიდა განკარგულება კვლავ ბეჯითად ადევნოს თვალი ილარიონის მოღვაწეობა მოქმედებას.

ილარიონი სოფელში ყველას არწმუნებდა: დამაცადოს პოლიციამ, საიდუმლო მოხსენებას ვაგზავნი სინოდში და ვნახოთ რა იქნება და ალბად მისი მუქარა მარტო ლიტონი სიტყვები არ იყო, რადგანაც ბევრმა სოფლელმა იცოდა ფოსტის გამგისაგან:

ყოველ თვე მამა ილარიონი ვეებერთელა ლუქით დაბეჭდილ პაკეტს გზავნის ქალაქში სინოდის კანტორის მისამართით-ო.

ცნობილია, რომ ყველა ფოსტის გამგეები მეტის მეტად ცნობის მოყვარე ხალხია და წინაკარის ფოსტის გამგესაც სჭირდა ეს პროფესიალი სენი· ხშირად იმტვრევდა თავს ვის და რას უგზავნის მამა ილარიონი ასე საიდუმლოდ. მისამართი ვითომ სინოდის კანტორისა იყო, მხოლოდ წარწერა იყო დამატებული „ბატონ მ. ხ.—ს საკუთარ ხელში“, ერთხელ ორჯელ ფოსტის გამგე შეეკითხა კიდეც ილარიონს ამის შესახებ, მაგრამ ილარიონმა უპასუხა: ზიარების და აღსარების მიმღებთა სიებია. ან ინოდო კანტორა გვავალებს ასეთი სიების საიდუმლო წესით წარდგენას, თანაც დაუმატა: „არ ვიცი აქ რა საიდუმლოება საჭირო“-ო....

მამა ილარიონის შვილი ცამეტ—თოთხმეტი წლის ყმაწვილი ვანო მასწავლებელ გიორგისთან სწავლობდა, ემზადებოდა სემენარიაში შესვლისათვის. ისედაც მუშაობით დატვირთული გიორგი ამას ვერ იკისრებდა სხვა რომ ყოფილიყო, მაგრამ მეტად შეუყვარდა ცქვიტი და გონება მახვილი, ცნობის მოყვარე და პატიოსნობით სავსე ყმაწვილი და ამიტომ სიამოვნებით დასთანხმდა ილარიონს, როდესაც მან სთხოვა ვანოს სემინარიისათვის მომზადება. ბეჯითად ასწავლიდა გიორგი ვანოს არა მარტო სემინარიისათვის საჭირო საგნებს, არამედ მიზნად დაისახა მისი ყოველ მხრით განვითარება, ადრე აუხილა მას თვალი, ღრმად ჩაახედა ცხოვრებაში, ასე რომ ვანომ ადრე გაიცნო ხილხის მტერი და მოყვარე, ეზიარა თანამედროვე ცხოვრების საიდუმლოებას და პოლიტიკურად თითქმის მომწიფებული იყო. მოულოდნელად ელოდა სემინარიაში შესვლას, იცოდა, რომ ფართე ასპარეზი მიეცემოდა არა მარტო სწავლისათვის, არამედ მოქმედებისათვისაც და ეს კი მეტად სწყუროდა გატაცებულ ახალგაზრდას. აქ შინ ცოტა არ იყოს შებოჭილი იყო. მამა მისი მართალია თანაუგრძნობდა ერთობას და ხალხის გამანთავისუფლებელ მოძრაობას, ამაში ვანო დარწმუნებული იყო და ამაყობდა კიდეც, მხოლოდ მამა შვილს ბეჯითად ადევნებდა თვალს და არ აძლევდა საშუალებას საიდუმლო მუშაობაში რაიმე მონაწილეობა მიეღო.

„აი, შვილო, კურსი დაამთავრე, შეისწავლე ყოველისფერი, ადამიანად გახდი და მაშინ მე თვითონ დაგლოცავ ასეთი მუშაობისათვის. თორემ უსწავლელი და განუვითარებელი რაში გამოადგები ხალხს“?

მასწავლებელიც ასეთი აზრისა იყო და ვანოს აფრთხილებდა და არ ურჩევდა რევოლიუციონურ მუშაობაში ჩარევას ჯერ ჯერობით.

—„იქ სემინარიაში არსებობენ სხვა და სხვა პოლიტიკური წრეები და ჯგუფები, შეხვალ გაიცნობ მათ პროგრამებს და მოღვაწეობას და სრულის შეგნებით შენ თვითონ აირჩევ მიმართულებას“—ო არიგებდა მასწავლებელი მოწაფეს. გიორგი ვანოსთვის შეურყეველი ავტორიტეტი იყო, მამაც მეტად უყვარდა და პატივსა სცემდა, ამიტომ მათ რჩევას და დარიგებას გზას ვერ აუხვევდა. მეტი რა გზა იყო, უნდა მოეცადა სემინარიამდე.

(დასასრული იქნება)

ი. გედევანიშვილი.

მყოფთ. ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფო ჯანმრთელობის სახ კომისარიატის მიერ მოწესრიგებულია რენტგენის კაბინეტი.

— **მიწის ძვრა.** საქ. ფიზიკურ ობსერვატორიის მიერ შენიშნულია 22 სექტემბერს შემახის რაიონში სუსტი მიწის ძვრა და 23 სექტემბერს თურქესტანში ძლიერი მიწის ძვრა.

— **ბრძოლა ციებ-ცხელების წინაალმდეგ.** ქ. ბათომში დაწესებულია ეკვალიპტოვის ჯიშის ხეების გაშენება რომელებიც მოქმედობენ ციებ-ცხელების წინაალმდეგ.

— **თავის მოწამვლა.** მე-5-ე სამილიციო ნაწილში 25 სექტ. ღამის 11 საათზე ვორონცოვის ქუჩ. № 5. მოქ. თინა ჯათაროვისამ. მოიწამლა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ქურდის დაპატიმრება.** მე-9-ე სამილიციო რაიონში დაპატიმრებულ იქნა მოქ. ჩიზიხბეგდიაროვი, რომელსაც ბრალი ედება ინჟ. ბოგდარეცკის ბინის გაქურდვა. აღმოაჩნდა ნაპარევი ნივთები.

— **ქურდის შეპყრობა.** 25 სექტ. დაპატიმრებულ იქნა მოქ. დავით ჰანგველაძე, რომელსაც ბრალდებოდა მოქ. პოვენკოს ბინის გაქურდვა. დამნაშავე გამოტყდა დანაშაულში.

— **დაჭრა.** მე-2-ე სამილიციო რაიონში 23 სექტ. სად 8 საათზე ინჟინერის ქუჩაზე. მოქ. მიხეილ ნიკოტაძე ჩხუბის დროს მსუბუქად იქნა დაჭრილი ვილაც უცნობი პირის მიერ, რომელიც მიიმალა. დაჭრილი გადაგზავნილია რესპუბლიკის საავადმყოფოში დახმარების აღმოსაჩენად.

— **სახალხო სახლის რეჟისორი.** სახალხო სახლის რეჟისორად მიწვეულია ივ. ბარველი.

— **რუსთაველის თიატრის დირექცია** აცხადებს, რომ საჭიროა სტატისტები ჯამაგირზე, კაცები და ქალები. განცხადება მიიღება რუსთაველის თეატრის კანტორაში, გამოცდები კვირას 30 სექტემბერს, დღის 12 საათზე.

— **შრომის ბირჟა.** 26 სექტემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 353 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—138 უმუშ. სამუშაოზე გაიგზავნა—100 უმუშ.

— **საპნის ქარხნის მოწყობა და ამუშავება.** სოც. უზ. სახ. კომისარიატის მიერ ტფილისში დაარსებული არტელი „განთიადი“ შეუდგა მუშაობას ქარხნის მოსაწყობათ. საპნის ქარხანა ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას.

— **ვალიუტის კურსი.**

27 სექტემბერი.

ჩერვონეცი	51,300,000 მ.
სტერლინგი ეფექ.	46,700,000 „
ჩეკი.	43,500,000 „
დოლარი ეფექ.	10,200,000 „
ჩეკი.	9,500,000 „
ოსმალური ლირა	6,300,000 „
საბჭოთა ფული	15,500 „

პარტიაში

პირველ ოქტომბერს, სალამოს 6 საათზე, დანიშნულია ტფილისის კომიტეტის გაფართოვებული სხდომა.

რაიკომებს და ფრაქციებს შეუძლიათ თითო წარმომადგენელის გამოგზავნა.

მ. სეფერთელაძე.

დღეს, ამა ენკენისთვის 28, სალამოს სრულ 7 საათზე, პარტ. ცენტრალურ ბიუროში (კეცხოველის ქ. № 1 ყოფ. ლორის მელიქ. ქ.) დანიშნულია მე-4 რაიკომის მორიგი სხდომა.

ვსთხოვ რაიკომის წევრებს ჩვეულებრივ გამოცხადდენ აღნიშნულ სხდომაზე.

მე-4 რაიკომის მდივანი **აკ. ხირაძე.**

დღეს, ამა ენკენისთვის 28, სალამოს 8 საათზე, მე 4 რაიკომის ოთახში (კეცხოველის ქ. № 1 ყოფ. ლორის-მელიქ. ქ.) დანიშნულია ბეჭდვითი საქმის მუშა-მოსამსახურეთა ფრაქციის მორიგი სხდომა. გასარჩევი გაადაუდებელი საკითხები.

ვსთხოვ ფრაქციის წევრებს აუცილებლივ გამოცხადდენ სხდომაზე.

ბეჭ. საქ. ფრაქციის მდივანი.

ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილების საყურადღებოდ.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ თანახმად განათლების კომისარიატის განყოფილებისა საქართველოს რესპუბლიკის ყველა ტიპის სასწავლებლებში სწავლა აუცილებლად უნდა განახლდეს პირველ ოქტომბერს. იმ დროისათვის, ისე როგორც ეს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხდებოდა, თვითეული მაზრის განათლების მასწავლებელთა გადაჯგუფებას სამსახურის საჭიროების მიხედვით, აწესებს ახალ მასწავლებლებს მოთხოვნილებისამებრ და აძლევს მათ დირექტივებს, რომელიც საჭიროა მომავალ წელში სწავლის რაციონალურად დაყენებისათვის. ასეთ მოვლენას ადგილი აქვს ქუთაისის განათლების განყოფილებაშიდაც. აქ ეხლა სასწავლებელთა ახალი ტიპის შემოღების მიხედვით ხდება მასწავლებელთა საგრძნობი გადაჯგუფება და ახალი მასწავლებლების დანიშვნა. ვინაიდან მთხოვნელების შემადგენლობა საგრძნობლად ჭრელია, საჭიროა მათი გაცხრილვა, რომ ადგილზე არ მოხვდეს ისეთი პიროვნება, რომელსაც ეს არ ესაჭიროება თავისი სოციალური მდგომარეობით.

საქმე იმაშია რომ მოთხოვნილებათა შორის არიან ვაჭრების ცოლები და შვილები; შეხვდებით მთხოვნელებს ისეთი ოჯახებიდან, რომელთაგანაც ორი, სამი და ოთხიც არიან უკვე სამსახურში და თავისი მდგომარეობით არ საჭიროებენ სოციალურად უზრუნველყოფას.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა ისინი, როგორც ყოველ საქმეში უფრო დახელოვნებული და გამოცდილები, შეიძლება დაინიშნონ ადგილებზე და ისეთი შემთხვევის წყალობით დარჩენ ისეთები, რომელთაც თავისი ოჯახური აუტანელი მდგომარეობის მიხედვით უფრო ესაჭიროებათ. სამსახურში მიღებით დახმარების აღმოჩენა.

არავითარი მტკიცება არ უნდა იმ გარემოებას, რომ განათლების განყოფილებამ პირველ რიგში უნდა დააყენოს და ადგილებზე დანიშნოს ის პირები, რომელნიც მომზადებით უფრო შეეფერებიან მასთავლებელთა წოდებას, მაგრამ იმ შემთხვევაში კი, როდესაც მთხოვნელები მომზადებისა და ცენზის მიხედვით თანასწორი არიან, მაშინ უპირატესობა უნდა მიეცეთ მათ, რომელნიც თავისი ოჯახური მდგომარეობისა გამო გაჭირვებას განიცდიან და დახმარებას საჭიროებენ.

ასეთ პირებზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის შესახებ ხშირად შეხვდებით მთავრობის განკარგულებას სისრულეში მოყვანის მოთხოვნილებით.

თუ განათლების განყოფილებასთან არსებული კოლეგია ასეთი საზომით მიუდგება მასწავლებელთა დანიშვნას, მაშინ ადგილი აღარ ექნება იმ მითქმა-მოთქმას, რომელსაც დღეს ამ მხრით ცოტაოდნად მაინც ავრცელებენ.

ი. ელენტიშვილი.

ზუგდიდის სამაზრო კონფერენცია.

1 სექტემბერს მოწვეულ იქნა საქართველოს მემ.-სოც. ფედერ. სარევოლიუციო პარტიის ზუგდიდის სამაზრო კონფერენცია. დაესწრო 30 დელეგატი მაზრის სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან. მათ შორის 21 გადამწყვეტის და 9 სათათბირო ხმით.

კონფერენციას სამაზრო კომიტეტის სახელით ხსნის ამხ. ს. ელიავა, რომელიც მოკლე მისალმების შემდეგ მოუწოდებს კონფერენციას პრეზიდიუმის არჩევისაკენ.

თავჯდომარედ იქნა არჩეული ამხ. ს. ელიავა, მდივნად ბ. ბარამია, საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქმნენ: ამხ. თ. ღლონტი, ი. ფანცხავა, მ. ესაკია და მ. კაკულია. შემდეგ პრეზიდიუმი აქვეყნებს მისალოც დეპეშებს, მთავარი კომიტეტიდან, ქუთაისის კომიტეტიდან და მ. კაკულიასაგან, რომელსაც კონფერენცია ტაშის ცემით ეგებება. მიღებულ იქმნა გაეგზავნოს დეპეშები მთავარ კომიტეტს, ქუთაისის კომიტეტს და მ. კაკულიას.

პრეზიდიუმის წინადადებით, კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა აწ განსვენებული ამხ. ლ. საჯაიას და ბ. სარიას ხსოვნას, რის შემდეგ კონფერენცია გადავიდა მორიგ საკითხებზე.

დღის წეს რიგი: 1) საქართველოს და საბჭოთა ფედერაციის შინაური და საგარეო მდგომარეობა, 2) სამაზრო კომიტეტის ანგარიში, 3) მოხსენებანი ადგილებიდან, 4) მიმდინარე საკითხები და 5) არჩევნები სამაზრო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოდის სამაზრო კომიტეტის წევრი შ. შენგელაია, რომელიც ფართოდ აშუქებს რა საერთოდ საბჭოთა ფედერაციის და კერძოთ საქართველოს შინაურ და საგარეო მდგომარეობას, ამბობს, რომ საბჭოთა აღმშენებლობის განვითარება. გაშუქება ერთის მხრივ, დასავლეთ ევროპაში შექმნილი მდგომარეობა: ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის ქიშპობა, მათი უძლურება გართულებულ ეკონომიურ სიტუაციას გამოსწორების წინაშე. აქედან გამომდინარე მასსიური მუშათა უკმაყოფილება და მღელვარება მეორეს მხრივ, არის თავდები სოციალისტური დროშის აფრიალებისა დასავლეთ ევროპაში.

მეორე მოხსენებას აკეთებს კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ს. ელიავა, რომელიც ასურათებს რა კომიტეტის მუშაობას დღეიდან მისი არჩევისა, ამბობს, რომ მიუხედავად ბევრნაირი შემაფერხებელი ობიექტიური პირობებისა, კომიტეტმა შესძლო ეწარმოებია მუშაობა და გაეძლიერებია ზუგდიდის ორგანიზაცია, რის მაჩვენებელია დღევანდელი შედარებით პირველ კონფერენციასთან მრავალ რიცხოვანი კონფერენცია.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან, რომლებიდანაც გამოირკვა, რომ ხშირად ჩვენსა და ხელის უფალ პარტიის წარმომადგენლებ შორის აქვს ადგილი გაუგებრობას და ჩვენს ამხანაგებს პარტ. მუშაობის საშვალება ესპობა: დაევალა კომიტეტს მიიღოს ზომები ამ დეფექტის გამოსასწორებლად მომავლისათვის.

მიმდინარე საკითხში დასმულ იქნა საორგანიზაციო საკითხი. ამ საკითხის გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დადგენილ იქნა დაევალოს კომიტეტს—მოახდინოს ხელახალი სწორი რეგისტრაცია. ამის სისრულეში მოსაყვანად თითეულ დელეგატს დაევალოს წარმოადგინოს კომიტეტის სია ორგანიზაციის წევრებისა. დღემდე გაცემული ბარათები ჩაითვალოს გაუქმებულად და წინადადება მიეცეს ყველა ამხანაგებს მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე გამოცვალოს ძველი ბარათები.

მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუციები.

1, მოისმინა რა მოხსენება ამხ. შ. შენგელაიას „საქართველო და საბჭოთა ფედერაციის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ“, კონფერენციას სწამს, რომ დაწყებული გადამწყვეტი ბრძოლა მშრომელთა კლასისა ბურჟუაზიის წინაალმდეგ არ შესწყდება პირველის საბოლოო გამარჯვებამდის, რომელიც თავდებია, როგორც კლასობრივი, ისე ეროვნული განთავისუფლებისა, და მოუწოდებს მთავარ კომიტეტს ფხიზელი დარაჯათ იდგეს რევოლიუციის სადარაჯოზე.

2, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ს. ელიავასი და ღებულობს რო მხედველობაში იმ მძიმე ობიექტიურ პირობებს, რომელშიდაც კომიტეტს უხდებოდა მუშაობა, კონფერენცია სცნობს მის მუშაობას სავსებით დამაკმაყოფილებლად.

დეპეშები:

1. მთავარ კომიტეტს.

ზუგდიდის სამაზრო კონფერენცია აღტაცებით ეგებება მთავარკომის პირველ წოწოდებისთანავე მზად არის ამოუდგეს მას მხარში და გაილოს ყოველგვარი მსხვერპლი პარტიის და საბჭოთა საქართველოს საფუძვლების გასამტკიცებლად.

2. ქუთაისის კომიტეტს.

ზუგდიდის კონფერენციამ სიამოვნებით მოისმინა რა ქუთაისელ ამხანაგების დეპეშა, ესალმება მათ და ჩვენი მხცოვან ბელადს იაკობ ფანცხავას.

3, ცაიში, მიხა კაკულიას ზუგდიდის კონფერენცია მადლობით ისმენს თქვენს მისალმებას და გისურვებს გაჯანსაღებას და ამხანაგების რიგებში მალე დაბრუნებას თქვენი საყვარელი პარტიული მუშაობის გასაგრძელებლად.

დასასრულ მოხდა არჩევნები. კომიტეტში არჩეულ იქმნენ: 1.—მ. კაკულია, 1.—ს. ელიავა, 3.—ი. გოგია, 4.—ბ. ბარამია და 5.—კონდრატე ნაჭყეპია კანდიდატებად 1.—კ. კობახიძე და 2.—შ დადიანი.

სარევიზიო კომისიაში: 1.—გრ. ქვარაია 2.—გ. საჯაია და 3.—ბ. აკობია,

დამსწრე.

პროვინციაში

აგარაკი ბახმარო.

(დასასრული)

სეზონის განმავლობაში გაიმართა რამოდენიმე ლექცია ამათში გამოირჩეოდა ეპ. ვასაძის და სიმონ წეველის. პირველმა წაიკითხა გაახალგაზრდავების და ცხოვრების გახანგრძლივების პრობლემის გარშემო.

როგორც მკითხველი დაინახავს **თემა** ახალი და ძალიან საინტერესოა.

ლექცია შინაარსიანი და დამუშავებული გამოდგა, მან აზრთა ცოცხალი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღო აპ. წულაძემ, თედორაძემ და სხვებმა.

ს. წეველის ლექცია სიყვარული და მშვენიერება ქართულ პოეზიაში საუცხოვო მხატვრულ, თითქმის პოეტურ ფორმებში იყო ჩამოსხმული. ლექტორს ბევრი უშრომია და ამ შრომას უქმად არ ჩაუვლია.

ლექცია მწყობრად, დალაგებულად იქმნა წაკითხული და ცოცხალი გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში. კამათმა თითქმის ორ საათამდე გასტანა. ლექტორი საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა.

კულტურულ მუშაობიდან აღსანიშნავია სამასწავლებლო კურსების გახსნა. სამასწავლებლო კურსები გახსნა სამაზრო განათლების განყოფილებამ. ეს კურსები აუცილებელი იყო და მიზან შეწონილი.

გურიაში მრავალ დაწყებითი სასწავლებელის გახსნამ გამოიწვია ბევრი ახალგაზრდა მასწავლებლის გამოსვლა სამოქმედო ასპარეზზე.

მასწავლებელთა შორის შეხვდებით ისეთებს, რომლებსაც გაუთავებიათ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი თავის სოფელში და იქვე დარჩენილან მასწავლებლად. ზოგი მათგანი არ გასცილებია გურიის ფარგლებს.

ამათში ბევრი ნიჭიერი მასწავლებელია, მაგრამ აკლიათ გამოცდილება, მათთვის აუცილებელია საერთო ცოდნის გაფართოება და ახალი მეთოდიკის შეთვისება. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ბახმაროზე გახსნილი კურსები. აქ იკითხებოდა ლექციები ქართულ ენაში და ესთეტიკაში (სიმონ წეველი), პოლიტიკურ ეკონომიაში (ხელაძე), მათემატიკის მეთოდიკაში (ირ. ხომერიკი), მსოფლიო ისტორია და გეოგრაფია (ალ. დანელია), ფიზიკა (მარო ლომინაძე), შრომის სკოლის პრინციპებზე (ნიკოლაიშვილი), პედაგოგიური ფსიქოლოგია და ბავშის ფსიქოლოგია (ივანე გველესიანი).

აღსანიშნავია ლექტორების გულმოდგინეობა და თავისი დიდი მოვალეობის შეგნება. ლექციებს გარეშენიც ესწრებოდნენ.

ლექციები იკითხებოდა დილის 7 საათიდან 12 საათამდე. 5 საათი ლექციების მოსასმენად ძალიან დიდი დროა და რაც უნდა საინტერესო იყოს მომაბეზრებელი ხდება—მსმენელები იღლებოდნენ.

დრო გამოშვებით მასწავლებლები აძლევდნენ სანიმუშო გაკვეთილებს, რის შემდეგ იმართებოდა კამათი.

გურიის ახალგაზრდა მასწავლებლებთა შორის აღსანიშნავია ქართული ენის ცუდი ცოდნა გრამატიკის არ ცოდნა და პროვინციალიზმები.

ისეთ გამოთქმებს როგორიც არის: „მოაგარეკენი ხალხი“, „ხალხი მოვიდოდენ“, „ხის ბოლი“ (ხის ტოტის მაგიერ), ხშირად შეხვდებოდით. მასწავლებლების წმინდა მოვალეობაა ქართული ლიტერატურული ენის კარგათ შესწავლა (ქართული ენის საფუძველი უნდა გახდეს ქართლური კილო).

კურსებს ხელმძღვანელობდა განათლების განყოფილების გამგე მარო ლომინაძე. მთელი სეზონის განმავლობაში მას ახასიათებდა გულმოდგინე და ენერგიული მუშაობა. ის ჯერ ენერგიით აღსავსეა და თუ ასე განაგრძო დიდ სარგებლობას მოუტანს გურიის ახალგაზრდა მასწავლებლობას.

კურსების ხელმძღვანელებს შეცდომა მოუვიდათ მთავარში. როგორც ვიცით, სახალხო განათლების კომისარიატმა მთელ რესპუბლიკაში ორგვარი ტიპის კურსები მოაწყო: ა) მოსამზადებელი კურსები (ორ თვე ნახევრიანი), ბ) გადასამზადებელი (თვე ნახევრიანი). ბახმაროს კურსებზე უცენზო მასწავლებელი მეტი იყო, ვიდრე ცენზიანი. მიუხედავად ამისა კურსები თვე ნახევრიანი იყო.

ამის შედეგი ის იყო, რომ 25 პროცენტმა ვერ ჩააბარა გამოცდები. კურსები უნდა ყოფილიყო ან ცენზიანების კერძოთ, ან უცენზოებისათვის მხოლოდ. შერეული კურსები პედაგოგიურათაც მიუღებელია.

სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა ჯამაგირის მიუღებლობა. ოზურგეთის სამაზრო განათლების განყოფილებამ აღუთქვა მასწავლებლობას, რომ ის ჯამაგირს ბახმაროზე მიიღებდა, მაგრამ ჯერ არაფერი სჩანს. დღეს ყველაფერი „კურსით“ მიდის წინ და მასწავლებლები ძალიან დაზარალდენ. მაგალითად: მასწავლებელს მოჰქონდა კოოპერატივიდან ხორცი 250,000 მანეთად. ვალი თავის დროზე ვერ გაისტუმრა, ჯამაგირის მიუღებლობის გამო. კოოპერატივმა მთელი ხნის გახმავლობაში 350.000 მ. უანგარიშა და დაჰპირდა მომატებას, თუ კურსმა აიწია. მასწავლებელმა კი უნდა მიიღოს ძველი კურსით და ვინ იცის როდის. ეს კარგა თვალსაჩინო გაყვლეფაა და შეუძლებელიც არის ყოველივე ობიექტიური პირობებით იქმნას გამართლებული. მომავალში საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას და ვინმე „ბაგაჟად“ არ დარჩეს ბახმაროზე დაპირების წყალობით.

ს. ჭეიშვილი.

ქუთაისი. დღეს არავისათვის არაა საქვო, რომ საბჭოთა მთავრობა, შეტევითი და დაკვრითი წესით ეწევა, როგორც სასოფლო მეურნეობას ისე მრეწველობის აღდგენას და მისი გაუმჯობესებას.

საქართველოში ტფილის გარდა, რომლის დიდ ისტორიულ აღმშენებლობას აწარმოებს, ეწევიან მუშაობას სხვა ქალაქებიც, რომელნიც მენშევიკების დროს არავითარ საქმიანობას არ ეწეოდენ.

დღეს ქუთაისი თანდათან ცოცხლდება და ქალაქი ელფერს ღებულობს.

ქუჩების შეკეთება სისტემატიურია, ბაღის გაუმჯობესება; სახლების სისტემატიური შეკეთება-გამშვენიერება, ქალაქის სხვა და სხვა მივიწყებულ კუთხეებში და ქუჩებში ელექტრონის სინათლის გაყვანა აუცილებლად დიდი ნაბიჯია წინ.

ქალაქის აღმასკომს არ დაუვიწყია აგრეთვე მუშათა ცენტრის დიდი ხნის წადილი. ეს არის ჯაფარიძის ქუჩის გვერდით (ყოფილ სომხების სასაფლაოზე) დამდგარ ჭაობის ამოშრობა. დღეს ქალაქი მას ამოსავსებლად ენერგიულ მუშაობას ეწევა, რომლითაც ქალაქის აღმასკომი მოსალოდნელ საშინელ მმუსრავ სენისაგან და ავადმყოფობისაგან იხსნის ამ რაიონს. იქ ე. ი. აღნიშნულ ტბის მახლობლად საშინელ აყროლებულ სუნს—მის არე-მარეში ავსებულ მწერებსა და ბაცილების გამო გავლა ყოვლად შეუძლებელი იყო. წვიმიან ამინდში, რაც ასე ხშირია ქუთაისში, ხომ ყოვლად შეუძლებელს ქმნიდა ქუჩაში გადმოსულ ტბა მახლობლად გავლისას.

ამ დიდ საქმის შესრულება და აღნიშნულ რაიონის დახსნა თავს იდვა ქალაქის აღმასკომმა. ამ მოკლე ხაზში, სულ მალე ეს ტბა, რომლის ამოსავსები სამუშაო დიდი უმეტეს ნაწილი უკვე შესრულებულია, მალე დაშრება და დიდი ხნის ნატვრა-სურვილი აღნიშნულ მუშათა რაიონისა აღსრულდება.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ქალაქის აღმასკომი არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო ამ ტბის ამოვსებით და თუ გინდა ნაპირზე კანაოს გავლებით, საჭიროა, რომ ამ ამოვსებულ ტბაზე იქმნას გაშენებული ბაღი, რომელიც არც ისე დიდ ხარჯს მოითხოვს.

გ. ახათიანი.

სამტრედია. ენკენისთვის 21-ს აქაურ ქალაქის თეატრში გაიმართა **ალ. ყაზბეგის** ცნობილ გმირის „ელეონორას“ გასამართლება. სასამართლოს თავმჯდომარეობდა ცხრაწლედ სასწავლებლის გამგე **დავით ლოლობერიძე** „ელეონორას ბრალს სდებდა სახ. უნივერსიტეტის სტუდენტი ვ. ქორიავა იცავდა გალ. რობაქიძე. გასამართლება მეტად შნოიანად და დისციპლინით ჩატარდა. დარბაზში ისმოდა მოხდენილი ქართული ენა. დამსწრეთაგანვე არჩეულმა სამსაჯულომ „ელეონორა“ დამნაშავედ სცნო.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 673 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრონშტადტის ქუჩ № 4